



შუალედური მოხსენება*
(8-27 სექტემბერი 2006)

I. მოკლე მიმოხილვა

- 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საქართველოს მასშტაბით აირჩევა 69 საკრებულოს დაახლოებით 1,732 წევრი შერეული მაჟორიტარულ-პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. არჩევნები გამოცხადდა 26 აგვისტოს და მას გამართავს სამი ინსტანციისაგან შემდგარი საარჩევნო ადმინისტრაცია, რომელიც შეიცავს ცესკოს, 76 საოლქო საარჩევნო კომისიასა და 3,005 -მდე საუბნო საარჩევნო კომისიას.
- არჩევნებზე კენჭს იყრის ხუთი პარტია, ერთი საარჩევნო ბლოკი და რიგი დამოუკიდებელი კანდიდატებისა. ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ გადაწყვიტა ბოიკოტი გამოეცხადებინათ ან მონაწილეობა არ მიეღოთ არჩევნებში.
- საარჩევნო ადმინისტრაცია მოქმედია და მიმდინარეობს არჩევნებისათვის ტექნიკური მზადება. თუმცა, ცესკო გარკვეულ სირთულეებს აწლდა შეზღუდულ საკანონმდებლო ვადებში საქმეების მოსწრებასთან დაკავშირებით.
- საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია ზოგადად დადგენილი წესის შესაბამისად განხორციელდა და ამომრჩეველს პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს შორის გარკვეული არჩევანის გაკეთების საშუალება მიეცემა. თუმცა 1,025 მაჟორიტარული ოლქიდან 282 და 69 პროპორციული საარჩევნო ოლქიდან 6 დარჩა შეჯიბრებითობის მიღმა – ბიულეტენში შეყვანილი მხოლოდ ერთი მონაწილეთ/პარტიული სიით.
- საარჩევნო მაჟორიტარული ოლქების დაყოფა ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული საზღვრების შესაბამისად ხდება და ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისის შეზღუდული სამეთვალყურეო მისია ამჟამად ანალიზებს მონაცემებს საარჩევნო ოლქების მიხედვით ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ.
- ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისის შეზღუდული საარჩევნო სამეთვალყურეო მისია თვალყურს ადევნებს საარჩევნო დავებს და ამჟამად ფლობს ინფორმაციას 18 საჩივრის თაობაზე, რომელიც კანდიდატთა რეგისტრაციასთან დაკავშირებული საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებების წინააღმდეგ არის მიმართული.

* მიუხედავად იმისა, რომ ეს ანგარიში თარგმნილია ქართულად, ინგლისური ვარიანტი არის ერთადერთი ოფიციალური ვარიანტი

- ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს დაბალი ინტენსივობით. დედაქალაქში მოქმედი მერის საარჩევნო კამპანია მეტად თვალშისაცემია. საარჩევნო კამპანიის პარალელურად, ხელისუფლებამ და ადგილობრივმა მმართველობამ აამუშავა ფართოდ რეკლამირებული სოციალური დახმარების პროგრამები.
- მედიაში შეზღუდულად შუქდება არჩევნებთან დაკავშირებული მოვლენები. თუმცა, სოციალური დახმარების პროგრამები და ხელისუფლების მიერ გატარებული სხვა ღონისძიებები ფართოდ იხილება. ზოგადად სატელევიზიო არხებმა დაიცვეს კანონის მოთხოვნები თავისუფალი საეთერო დროის განაწილებასთან დაკავშირებით. დებატები იმართება როგორც საზოგადოებრივ ისე ზოგიერთ ადგილობრივ სატელევიზიო არხებზე. თუმცა, გაერთიანებულმა ნაციონალურმა მოძრაობამ მათში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

II. არჩევნების ადმინისტრირება

5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებს გამართავს სამი ინსტანციისაგან შემდგარი საარჩევნო ადმინისტრაცია, რომელიც შეიცავს ცესკოს, 76 საოლქო საარჩევნო კომისიასა და 3,005 -მდე საუბნო საარჩევნო კომისიას. საარჩევნო კოდექსის მიხედვით 7 წევრიანი ცესკო და 5 წევრიანი საოლქო საარჩევნო კომისიები წარმოადგენენ მუდმივმოქმედ, პროფესიულ და მიუკერძოებელ ორგანოებს.

ცესკოს შემადგენლობა განისაზღვრა 2005 წლის 3 ივნისს პარლამენტის მიერ პრეზიდენტის მხრიდან წარდგენილი კანდიდატების არჩევის საფუძველზე. ამჟამად ცესკო შედგება თავმჯდომარისა და 5 წევრისაგან.¹

ცესკოს სხომები საჯაროა და რეგულარულად იმართება. ადგილობრივი და პოლიტიკური პარტიების მიერ წარგზავნილი დამკვირვებლები, ისევე როგორც მასმედიის წარმომადგენლები ფართოდ იყენებენ ცესკოს სხომებზე დასწრების უფლებას. ზოგადად ცესკოს მუშაობა მიმდინარეობს კოლეგიალურად, თუმცა, კომისიის ყველა წარმომადგენელს შორის საკამათო საკითხების განხილვა მხოლოდ იშვიათად იმართება. ცესკოს ოქმები და დადგენილებები ცესკოს ვებ-გვერდზეა ხელმისაწვდომი, თუმცა, მხოლოდ ქართულ ენაზე. საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით ცესკომ შეიმუშავა საოლქო და საუბნო კომისიების წევრების დატრენინგების პროგრამა, რომელიც ამჟამად ხორციელდება საქართველოს მასშტაბით. ცესკომ ასევე გამოსცა საუბნო კომისიების წევრების დატრენინგების სახელმძღვანელო, რომელიც წარმოდგენილია ქართულ, აზერბაიჯანულ (ლათინური ასოებით), რუსულ და სომხურ ენებზე.

5 ოქტომბრისთვის არჩევნების დანიშვნამ და 26 აგვისტოს ამ გადაწყვეტილების გამოცხადებამ საარჩევნო ადმინისტრაცია დროში მეტად შეზღუდა, რის გამოც ცესკო კანონით დაგეგმილ ზოგიერთ ვადაში ვერ ჩაეტია. შემდგომში ცესკომ სპეციალური დადგენილებების მეშვეობით კანონით სავალდებულო ვადები გააგრძელა

¹ ამჟამინდელი ცესკოს შემადგენლობა განპირობებულია ცესკოს ყოფილი თავმჯდომარის იუსტიციის მინისტრად გადაყვანითა და 2005 წლის 22 დეკემბერს ცესკოს ყოფილი მდივნის გურამ ჩალაგიშვილის ცესკოს ახალ თავმჯდომარედ დანიშვნით

მაშინ, როდესაც აღნიშნული ვადები უკვე ამოწურული იყო.² ცესკომ ბოლომდე ვერ გამოასწორა საარჩევნო კამპანიისათვის საჭირო ფონდების დროულად გახსნასთან დაკავშირებული საარჩევნო კოდექსის ორაზროვანი მოთხოვნები. ამის შედეგად ზოგიერთ მაჟორიტარ კანდიდატს რეგისტრაციაზე უარი ეთქვა. საბოლოოდ რიგ ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქებში მხოლოდ ერთი კანდიდატი იყრის კენჭს.

საოლქო კომისიების წევრთა უმრავლესობა თანამდებობაზე დაინიშნა 2006 წლის მარტში, მას შემდეგ რაც ცესკომ გამოაცხადა ღია კონკურსი 70-მდე საოლქო კომისიაში არსებულ ვაკანტურ ადგილზე.³ საოლქო კომისიის წევრი შეიძლება გამხდარიყო მხოლოდ ის პირი, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებული გამოცდა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მინიჭებული ჰქონდა შესაბამისი სერთიფიკატი. ოპოზიციურმა პარტიებმა და ზოგიერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოხატეს შემოფოთება საარჩევნო ადმინისტრაციაში წევრთა დანიშვნის პროცედურასთან დაკავშირებით, რადგან არსებული წესი ხელისუფლებასა და მმართველ პარტიას შესაძლებლობას აძლევდა მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებაზე.

ამჟამად საოლქო საარჩევნო კომისიების დონეზე მიმდინარეობს ტექნიკური საკითხების მომზადება არჩევნების დღისათვის. საოლქო კომისიების უმრავლესობა მართავს რეგულარულ საჯარო სხდომებს და აქვეყნებს ოქმებს. სამცხე-ჯავახეთის ეთნიკურად სომხებით დასახლებულ რეგიონში საოლქო საარჩევნო კომისიებში ეროვნული უმცირესობები წარმოდგენილნი არიან, მაშინ როდესაც ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ ქვემო ქართლის რეგიონის საოლქო საარჩევნო კომისიებში ეთნიკური უმცირესობები არასათანადოდ არიან წარმოდგენილნი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე რეგიონის საუბნო საარჩევნო კომისიები უკეთ წარმოადგენენ ეთნიკურ უმცირესობებს.

საუბნო საარჩევნო კომისიების ცხრა წევრიანი შემადგენლობა იძლევა პარტიათა წარმომადგენლების კომისიებში შეყვანის შესაძლებლობას. წევრთა დაახლოებით 2/3 შეიძლება დასახლებულ იქნას ბოლო საპარლამენტო არჩევნებში პირველ სამ ადგილზე გასული პარტიების მიერ – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს⁴ და საქართველოს ლეიბორისტული პარტია, ხოლო დანარჩენ წევრებს ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია. პრაქტიკულად საუბნო

² აღნიშნული ვადები შეეხო უბნების ჩამოყალიბებას, საუბნო საარჩევნო კომისიების ფორმირებას, რეგისტრირებული ამომრჩევლების წინასწარი რაოდენობის შესახებ განცხადების გაკეთებას და ამომრჩეველთა სიაში უკანასკნელი ცვლილებების შეტანისათვის ბოლო ვადის დადგენას.

³ №5(ისანი/თბილისი), №57(ტყეხული/იმერეთი) და №79, №81, №82 (აჭარა) საოლქო საარჩევნო კომისიები იმავე წევრებისაგან შედგება, რომლებიც 2005 წლის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების დროს მუშაობდნენ, ხოლო №86 ზემო აფხაზეთის საოლქო საარჩევნო კომისია არჩევნების გამოცხადების შემდეგ დაკომპლექტდა.

⁴ წინა საპარლამენტო არჩევნებში პარტია “მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს” და “ახალი კონსერვატიული პარტია (ახალი მემარჯვენეები)” ერთ საარჩევნო ბლოკს წარმოადგენდნენ. ამჟამად უკანასკნელმა უარი განაცხადა არჩევნებში მონაწილეობაზე. საარჩევნო კოდექსის შესაბამისად პარტიას “მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს,” როგორც უდიდესი რაოდენობის ადგილების მომპოვებელი ბლოკის წევრს, უფლება მიეცა საუბნო საარჩევნო კომისიაში წევრები დამოუკიდებლად წარედგინა, თუმცა, რამდენიმე რეგიონის საუბნო საარჩევნო კომისიაში აღნიშნული უფლების ახალ მემარჯვენეებთან გაზიარება გადაწყვიტა.

დონის კომისიები, რომლებიც უშუალო ადმინისტრირებას უწევენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) არჩევნებს ნაჩქარევად შეიქმნა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ ე.წ. სპეციალური ჯგუფების საფუძველზე, რომლებიც ჩამოყალიბდა არჩევნების გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე საარჩევნო სიების განახლების მიზნით. აღნიშნული სპეციალური ჯგუფების დაკომპლექტება განისაზღვრება ზემოაღნიშნულ პარტიათა მიერ წარმოდგენილ წევრთა რაოდენობის ეკვივალენტურად.

ზოგიერთ რაიონში⁵ საოლქო საარჩევნო კომისიები განთავსებულნი არიან ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოებთან (გამგეობა) ერთად ერთსა და იმავე შენობაში, მაშინ როცა სხვა რეგონებში⁶ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისი მდებარეობს გამგეობის შენობაში. ეს თავის მხრივ საოლქო-საარჩევნო კომისიებს, ადგილობრივ ადმინისტრაციასა და მმართველ პარტიას შორის არსებულ განსხვავებას ბუნდოვანს ხდის. ამასთანავე, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისმა მიიღო ცნობები იმის შესახებ, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ან/და საჯარო მოსამსახურეები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კითხვარებით თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდსა და თელავში ამომრჩევლებს შორის კარდაკარ გამოკითხვას ატარებენ.

ამომრჩეველთა სიები

ცესკო პასუხისმგებელია ცენტალიზებული კომპიუტერული საარჩევნო სიის შექმნაზე. საარჩევნო სიის განახლება დაიწყო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებამდე 2006 წლის 31 ივლისს 2,804 სპეციალური ჯგუფების შექმნით. 23 აგვისტოდან 12 სექტემბრამდე ვადით შექმნილი სპეციალური ჯგუფების მოვალეობას წარმოადგენდა თითოეულ საარჩევნო უბანში კარდაკად მოსახლეობის აღწერა. 26 აგვისტოს არჩევნების გამოცხადებასთან ერთად სპეციალური ჯგუფების მანდატი შეჩერდა, მხოლოდ რამდენიმე დღიანი მუშაობის შემდეგ. 1 სექტემბერს სპეციალური ჯგუფები გარდაიქმნა 3005 საუბნო საარჩევნო კომისიად.

საქართველოს ბევრ რეგიონში საოლქო საარჩევნო კომისიებმა შერჩეული საუბნო საარჩევნო წევრების დახმარებით გააგრძელეს სპეციალური ჯგუფების მიერ დაწყებული სამუშაო. რასაც მოყვა კარდაკარ შემოწმების განხორციელება და ამომრჩეველთა მონაცემების გადამოწმება. ამომრჩეველთა სიები ხელმისაწვდომი გახდა საჯარო გადამოწმებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიებში. ცესკომ ასევე შექმნა უფასო ცხელი ხაზი მოსახლეობისათვის და საშუალება მისცა მათ მოეპოვებინათ ინფორმაცია საკუთარი თავის სიაში არსებობის შესახებ. ცხელი ხაზი მუშაობს ექვს ენაზე. 25 სექტემბრისათვის ოფიციალურად გამოცხადებული რაოდენობა ამომრჩევლებისა შეადგენს 3,201,168, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა არჩევნების ამომრჩეველთა რიცხვს.

⁵ ქვემო ქართლში 5 საოლქო საარჩევნო კომისია და აჭარაში რამდენიმე საოლქო საარჩევნო კომისია განლაგებულია გამგეობის შენობაში.

⁶ ახალქალაქში და ასპინძაში, გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობის ოფისები მდებარეობს გამგეობის შენობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ და საარჩევნო ადმინისტრაციამ დიდი ძალისხმევა გასწია ამომრჩეველთა სიის ხარისხის გასაუმჯობესებლად, ოპოზიციური პარტიები და ზოგიერთი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი ორგანიზაცია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებათა დაცვის ოფისის შეზღუდული საარჩევნო სამეთვალყურეო მისიასთან საუბრისას კვლავაც ეჭვს გამოთქვამს სიების სიზუსტესთან დაკავშირებით. კერძოდ, ისინი ყურადღებას ამახვილებენ სიების განახლების პროცესის არამდგრადობაზე, ერთი და იმავე პირის სიაში ორჯერ შეყვანაზე, მართლწერის შეცდომებზე და სხვა უზუსტობებზე.

ამომრჩეველთა საბოლოო სიების მოწოდება და გადაცემა საჯარო განხილვისათვის საუბნო საარჩევნო კომისიებში უნდა მომხდარიყო 24 სექტემბრიდან, რაც იმავედროულად სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ამომრჩეველთა სიებში შეყვანის ბოლო ვადაც იყო. საქართველოს საარჩევნო კოდექსი არ იძლევა არჩევნების დღეს რეგისტრაციის უფლებას (გამონაკლისს წარმოადგენენ მოქალაქეები, რომლებიც ბრუნდებიან უცხოეთიდან ან ამომრჩევლები, რომელთაც ათავისუფლებენ სასჯელალსრულების დაწესებულებებიდან ან საავადმყოფოებიდან არჩევნების დღის მიჯნაზე).

თბლისში, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისის შეზღუდული საარჩევნო სამეთვალყურეო მისიის დაკვირვებით, იმ ამომრჩეველთა რიცხვი რომელთაც არ აქვთ მითითებული მისამართი მერყეობს რამდენიმე ათეულიდან ათასამდე (და მეტიც). ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისის შეზღუდული საარჩევნო სამეთვალყურეო მისია გაგრძელებს ამ და ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებული სხვა საკითხების თვალყურისდევნებას.

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია

საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია ხორციელდება ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების დონეზე. თავდაპირველად, პოლიტიკური პარტიები და მოძრაობები რეგისტრაციას გადიან ცესკოში, რათა მოიპოვონ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე კანდიდატთა წარდგენის უფლება. ასევე შესაძლებელია საარჩევნო ბლოკების შექმნა და ცესკოში რეგისტრაცია. შესაბამისად, ცესკოში რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიები/მოძრაობები ახდენენ თავიანთი სიებისა და კანდიდატების რეგისტრაციას პროპორციული და მაჟორიტარული არჩევნებისათვის სათანადო საოლქო საარჩევნო კომისიებში. დამოუკიდებელ კანდიდატებს, რომლებიც საჭიროებენ წარდგენას საოლქო საარჩევნო ოლქებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების მიერ, შეუძლიათ კენჭი იყარონ რეგიონებში, თბილისის ფარგლებს გარეთ.

რეგისტრაციისათვის ცესკოს მიმართა 11-მა პოლიტიკურმა პარტიამ და მოძრაობამ, რომელთაგან რეგისტრირებულ იქნა მხოლოდ ცხრა სუბიექტი. პოლიტიკურ მოძრაობა სამშობლოს და მერაბ კოსტავას საზოგადოებას უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე საბუთების არასრულად წარდგენის საფუძველზე. 8 სექტემბერს ეროვნულ დემოკრატიული პარტია, ხოლო 11 სექტემბერს ახალი კონსერვატიული

პარტია (ახალი მემარჯვენეები) გამოეთიშნენ საარჩევნო მარათონს გამოაცხადეს რა არჩევნები უსამართლოდ. საბოლოო ჯამში არჩევნებში მონაწილეობას მიიღეს ხუთი პოლიტიკური პარტია: - გაერთიანებული ეროვნული მოძრაობა, საქართველოს გზა, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, ეროვნული იდეოლოგიის პარტია და ერთი საარჩევნო ბლოკი, რომელიც შექმნეს რესპუბლიკურმა და კონსერვატიულმა პარტიებმა სახელწოდებით “დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი”.

საერთოდ, საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია განხორციელდა ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. თუმცა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისის შეზღუდული საარჩევნო სამეთვალყურეო მისია ფლობს ინფორმაციას სულ მცირე ორ რეგიონზე, ქვემო ქართლსა და იმერეთზე, სადაც საარჩევნო სუბიექტს, განსაკუთრებით კი დამოუკიდებელ კანდიდატებს მასიურად ეთქვათ უარი რეგისტრაციაზე.⁷ საშუალოდ სამი პარტიის მიერ წარდგენილი სიები ყოველ საარჩევნო უბანზე საშუალებას აძლევს ამომრჩეველს არჩევანი გააკეთოს პროპორციულ ბიულეტენში. თუმცა არსებული 69 საარჩევნო ოლქიდან ექვსში მხოლოდ ერთი, მმართველი პარტიის – გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობის კანდიდატთა სიაა წარდგენილი.

ხოლო რაც შეეხება არჩევნების მაჟორიტარულ მხარეს, 1,025 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ერთმანეთს დაუპირისპირდება 2,400-მდე კანდიდატი. ამჟამად არსებული ინფორმაციის შესაბამისად 282 (27.5%) ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქში არჩევნები ჩატარდება შეჯიბრებითობის გარეშე მხოლოდ ერთი კანდიდატის მონაწილეობით. ერთი შემთხვევის გარდა, ყველა აღნიშნული მონაწილე გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობის კანდიდატია.

III. საკანონმდებლო ჩარჩო

2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სამართლებრივი ბაზისი შედგება (თუმცა არ შემოიფარგლება) 2001 წელს მიღებული ერთიანი საარჩევნო კოდექსისგან, რომელშიც 15-ჯერ იქნა ცვლილებები შეტანილი. ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისისა და ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის მიერ ერთობლივად შემუშავებული საარჩევნო კოდექსის 2006 წლის ივნისის თვის შეფასების თანახმად აღნიშნული კანონი გარკვეულ დადებით ფაქტორებს შეიცავს. წინა მოხსენებებსა და

⁷ წინასწარ არსებული ინფორმაციის საფუძველზე გარდაბანში № 21 საოლქო საარჩევნო კომისიაში 43 რეგისტრირებული საინიციატივო ჯგუფიდან მიიღეს მხოლოდ 13 კანდიდატი, დმანისში №24 საოლქო საარჩევნო კომისიაში 48 საინიციატივო ჯგუფიდან რეგისტრაციაში გაატარეს მხოლოდ 12 კანდიდატი, მარნეულში №22 საოლქო საარჩევნო კომისიაში თვრამეტივე საინიციატივო ჯგუფის კანდიდატს ეთქვა უარი რეგისტრაციაზე. ჭიათურაში (იმერეთი) №56 საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში არ გაატარა 24 საინიციატივო ჯგუფის კანდიდატები, მიუხედავად იმისა რომ კანდიდატები ამტკიცებდნენ ცესკოდან საარჩევნო ფონდის შესახებ არასწორი ინფორმაციის მიღებას.

მიმოხილვებში ხაზგასმული ნაკლოვანებების ნაწილი გათვალისწინებულია.⁸ თუმცა, რიგი ადრეული რეკომენდაციებისა მაინც არ არის მხედველობაში მიღებული.⁹

2005 წლის დეკემბერში ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიამ თბილისის საკრებულოს ახლადმიღებული საარჩევნო სისტემის დამოუკიდებელი მიმოხილვა ჩაატარა. მიუხედავად იმისა რომ ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისს ზემოაღნიშნულ მიმოხილვაში მონაწილეობა არ მიუღია, ეს ორგანიზაცია მაინც იზიარებს ზოგიერთი საკითხის მიმართ გამოთქმულ ცალკეულ შენიშვნასა და შემოფოთებას. აღსანიშნავია საცხოვრებელთან დაკავშირებული მოთხოვნების გადაჭარბებულობა, დამოუკიდებელ კანდიდატებთან დაკავშირებული დებულებების სიმცირე და თბილისის საკრებულოს არჩევნებში ერთი საარჩევნო ბიულეტენის გამოყენების მოთხოვნა, მაშინ როდესაც დანარჩენ საქართველოში ორი საარჩევნო ბიულეტენი გამოიყენება. საქართველოს საარჩევნო კანონში ივნის-ივლისის თვეში შეტანილ ცვლილებებს ცალკე განიხილავს ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისი და ევროპის საბჭოს ვენეციის კომისია და შედეგებს 2006 წლის ბოლოს გამოაქვეყნებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები არჩევნები ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში გატარებული რეფორმების შემდეგ ტარდება. ამომრჩეველი 4 თვითმმართველ ქალაქში, 60 მუნიციპალიტეტში, კონფლიქტური ზონების 4 თემსა და თბილისში მთლიანობაში 69 საკრებულოს წევრებს აირჩევს. ცვლილებების შედეგად ქალაქის მერსა და მუნიციპალიტეტის გამგებელს საკრებულო აირჩევს. საქართველოს საარჩევნო კოდექსი მოქმედ მერებსა და გამგებლებს არჩევნებში მონაწილეობისათვის გაკავებული თანამდებობიდან გადადგომას ავალდებულებს. თუმცა, აღნიშნული მოთხოვნა არ შეეხება თბილისის მოქმედ მერს, რომელსაც კანონში ბოლო დროს შეტანილი ცვლილებები თანამდებობიდან გადადგომის გარეშე არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ანიჭებენ.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები შერეული საარჩევნო სისტემით ტარდება, რომლის მიხედვითაც თბილისის გარდა საქართველოს ყველა საკრებულოში 10 წევრი პროპორციული წესით აირჩევა, ხოლო გარკვეული რაოდენობა წევრებისა მაჟორიტარული წესით აირჩევა ადგილობრივი მაჟორიტარულ ოლქებში ოთხი წლის ვადით.

მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი საარჩევნო კანონის 6-ე მუხლი საარჩევნო უფლების თანასწორობას უზრუნველყოფს, ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით საარჩევნო უბნების საზღვრების დადგენის მოთხოვნა მხოლოდ თვითმმართველ ქალაქებს შეეხება (მუხლი 129.²). მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენა ძველ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას ეფუძნება. აღნიშნული პრინციპის მიხედვით თემი (ერთეული) ირჩევს საკრებულოს ერთ წევრს აღნიშნულ თემში (ერთეულში)

⁸ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 2005 წლის 23 დეკემბრის 2006 წლის 16 ივნისის შუალედში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ერთიანი შეხედულება №362/2005

⁹ საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების შესახებ ორგანული კანონპროექტის შესახებ მოსაზრება №358/2005 20 დეკემბერი 2005 წელი.

შემავალი მაცხოვრებლების რაოდენობის მიუხედავად¹⁰ ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისის შეზღუდული საარჩევნო სამეთვალყურეო მისია შეისწავლის ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქების მიხედვით ამომრჩეველთა რაოდენობას და მის შემდგომ მნიშვნელობას.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით თბილისის საკრებულო 37 წევრისგან შედგება. 25 წევრი 10 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში აირჩევა. ის პარტიები, რომლებიც მიიღებენ „სხვებთან შედარებით მეტ ხმებს და არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 30%-ზე არანაკლებს,, მოცემული ოლქისთვის გამოყოფილ ყველა ადგილს დაიკავებენ. დარჩენილი 12 ადგილი პროპორციულად განაწილდება იმ პარტიებს შორის, რომლებიც თბილისის ათივე საარჩევნო ოლქში ხმების 4% მაინც მოიპოვებენ. შემდგომში საკრებულო ხმების 2/3-ით აირჩევს თბილისის მერს ოთხი წლის ვადით. აღნიშნული სისტემა ოპოზიციამ გააკრიტიკა როგორც საკრებულოს წარმომადგენლობითი ბუნების შემზღუდველი სისტემა, რომელიც მმართველი პარტიის ინტერესებს ემსახურება.

საჩივრის აღძვრა და აპელაცია

საქართველოს საარჩევნო კანონი შეიცავს საარჩევნო დავების გადაწყვეტისათვის საჭირო რიგ დამაკმაყოფილებელ დებულებებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში საკითხების გასაჩივრება. თუმცა, ბოლო დროს საგრძნობლად გაზრდილმა სასამართლო გადასახადებმა (ბაჟი) შეიძლება არჩევნებში მონაწილეებს გადააფიქრებინოს სასამართლოში სარჩელის შეტანა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის ერთ-ერთი მაღალი ინსტანციაა, მხოლოდ არჩევნების შემდეგ ამოქმედდება, რადგან რამდენიმე ახლადდანიშნულ მოსამართლეს ჯერ ფიცი არ დაუდია.

ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისის შეზღუდულ საარჩევნო სამეთვალყურეო მისიას აცნობეს 18 საჩივრის შესახებ, რომელთა დიდი ნაწილი საარჩევნო კომისიების მიერ მიღებულ საკანონმდებლო აქტებს (დადგენილებებსა და განკარგულებებს) ეხება. საჩივრების უმეტესობა კანდიდატების რეგისტრაციასთან არის დაკავშირებული. მათ შორის არის ისეთი საჩივრებიც, რომლებიც დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის საარჩევნო ფონდების გაუხსნელობის მიზეზით რეგისტრაციაზე უარის თქმას შეეხება.

ორი სარჩელი შეეხებოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებას, რომლის მეშვეობითაც დარეგისტრირდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიული სია, რომელსაც თბილისის მოქმედი მერი გივი უგულავა უდგას სათავეში და რომელიც შეიცავს საკრებულოს წევრობის ისეთ კანდიდატებს, რომლებიც არც ერთ მაჟორიტარულ ბიულეტენში არ ფიგურირებენ.¹¹ თბილისის

¹⁰ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის განმარტებისათვის იხილეთ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს კანონის 1 მუხლი. კანონი ძალაში შედის 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ

¹¹ საჩივრების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს საარჩევნო კოდექსი 128.3 მუხლი, რომლის მიხედვითაც პარტიული სიები უნდა შედგებოდეს იმ კანდიდატებისგან, რომლებიც მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში არიან წარდგენილნი

საქალაქო სასამართლომ თავიდანვე განხილვაში არ მიიღო აღნიშნული საარჩევნო იმ მოტივით, რომ ორ მოსარჩელეს, საარჩევნო ბლოკს „დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი“ და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, მსგავსი საჩივრების სასამართლოში შეტანის უფლება არ ჰქონდა. სააპელაციო სასამართლომ დახურული მოსმენის (ზეპირი მოსმენის გარეშე) დროს პირველი ინსტანციის მიერ მიღებული განჩინება საარჩევნო დაუშვებლად ცნობის შესახებ გააუქმა.

IV. საარჩევნო კამპანიის გარემო

ერთიანი საარჩევნო კოდექსის მიხედვით წინასაარჩევნო კამპანია იწყება არჩევნების დანიშვნის დღიდან ანუ არჩევნებამდე 40 დღით ადრე. თუმცა, რეალურად საარჩევნო კამპანია მხოლოდ საარჩევნო ბლოკის, პოლიტიკური პარტიისა თუ დამოუკიდებელი კანდიდატის დარეგისტრირების შემდეგ შეიძლება დაიწყოს. სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტების დარეგისტრირების ვადები განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც ცალკეულ საარჩევნო სუბიექტს სხვასთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს საარჩევნო კამპანიისთვის გამოყოფილი დროის შემცირების გზით.

დღეისათვის წინასაარჩევნო კამპანია მეტად სუსტია და მხოლოდ კარდაკარ ავითაცხითა და ამომრჩევლებთან მცირემასშტაბიანი შეხვედრებით შემოიფარგლება. რეგიონებში შეზღუდული რაოდენობის პლაკატები შეინიშნება, ხოლო სხვა სახის წინასაარჩევნო მასალები თითქმის არ არსებობს. პარტიების უმეტესობა წინასაარჩევნო კამპანიის სისუსტეს არჩევნების მოულოდნელი გამოცხადებით ხსნის. ზოგიერთები რესურსების ნაკლებობასაც უსმევენ ხაზს. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გარდა არჩევნებში მონაწილე სხვა პოლიტიკურ პარტიებს არ გააჩნიათ ნათლად ჩამოყალიბებული საარჩევნო პლატფორმა.

თბილისში მოქმედი მერის საარჩევნო კამპანია მეტად აშკარაა, რაც ბილბორდებსა და მუნიციპალურ ავტობუსებზე გაკრული პლაკატებითა და აქტივისტების მიერ ამომრჩეველთა აქტიური ავითაცხით ვლინდება. საარჩევნო კამპანიის პარალელურად სახელმწიფო და მუნიციპალურ სამსახურში მომუშავე მოხელეებმა დაიწყეს აქტიურად რეკლამირებული სოციალური პროგრამების განხორციელება.¹² ასეთი ქმედებები ბუნდოვანს ხდის ლეგიტიმურ წინასაარჩევნო კამპანიასა და საარჩევნო მიზნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას შორის განსხვავებას.

უეთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისის შეზღუდულმა საარჩევნო სამეთვალყურეო მისიამ ხარაგაულის №48 ოლქიდან მიიღო სარწმუნო ცნობები იმის შესახებ, რომ ხორციელდება ზეწოლა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრისა და ამჟამად დამოუკიდებელი კანდიდატის მომხრეებისა და საინიციატივო ჯგუფების მიმართ. მსგავსი ცნობები მიღებულ იქნა მარნეულის №22 ოლქიდან და სხვა ოლქებიდან.

¹² აღნიშნული პროგრამები შეიცავს მასწავლებლებისათვის გაზის გადასახადების შესამცირებლად ვაუჩერების დარიგებას, პენსიონერებისათვის საპენსიო დანამატებისა და გაყინული პენსიების გაცემას, სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ოჯახებისთვის დახმარებების გადაცემას, ისევე როგორც დასაქმების დროებითი პროგრამებისგან ხორციელებას, როგორცაა მაგალითად სტუდენტების მიერ შაბათ-კვირის მანძილზე განხორციელებული „ქლაქის დასუფთავების კამპანია“ და უმუშევრების სამთვიანი სამუშაო გადამზადების პროგრამა.

ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისის შეზღუდულმა საარჩევნო სამეთვალყურეო მისიამ რამდენიმე ისეთი შემთხვევაც დააფიქსირა, როდესაც მოქმედი მერები (თბილისის გარეთ) ინარჩუნებდნენ თავიანთ პოსტებს, მაშინ როდესაც ისინი განაგრძობდნენ საკუთარი თანამდებობისა და სხვა საჯარო რესურსების გამოყენებას წინასაარჩევნო კამპანიის დროს.

V. მედია

წინასაარჩევნო კამპანიის დროს მედიის საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს მაუწყებლობის შესახებ კანონისა და ერთიანი საარჩევნო კანონის რიგი მუხლები და საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც კრძალავს ცენზურას და უზრუნველყოფს სიტყვის თავისუფლებას. ერთიანი საარჩევნო კანონი ავალდებულებს კერძო და საზოგადოებრივ მაუწყებლებს „კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისთვის“ გამოყონ უფასო საეთერო დრო საარჩევნო რეკლამებისთვის, რათა უზრუნველყონ დებატებში მონაწილეობისა და ფასიანი საარჩევნო რეკლამების განთავსების თანაბარი პირობები.

ეროვნულ დონეზე კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად იწოდება ის პოლიტიკური პარტია, რომელსაც თავისი ფრაქცია ჰყავს პარლამენტში ან ბოლო არჩევნებზე მოიპოვა ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 4%-ისა. ადგილობრივ დონეზე კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად იწოდება ის პოლიტიკური პარტია 1) რომელმაც მუნიციპალურ არჩევნებში მოიპოვა ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 25%-ისა, 2) რომლის მაჟორიტარი კანდიდატი ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მეორე ტურში გავიდა ან 3) რომელიც აკმაყოფილებს ეროვნულ დონეზე მაუწყებელთა მოთხოვნებს.

ერთიანი საარჩევნო კოდექსი ავალდებულებს საზოგადოებრივ მაუწყებელს „კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის“ გამოყოს ყოველდღიურად 24 წუთისა და მთლიანობაში 2 საათის ოდენობის უფასო საეთერო დრო წინასაარჩევნო კამპანიისა და არჩევნებთან დაკავშირებული საკითხებისათვის. მაუწყებელი ასევე ვალდებულია თანაბრად გაანაწილოს უფასო საეთერო დრო იმ პოლიტიკურ პარტიებსა და ბლოკებს შორის, რომლებიც არ წარმოადგენენ „კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს.“ პირველმა არხმა გადაწყვიტა 27 წუთი დაუთმოს თითოეულ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს და 5 წუთი — სხვა რეგისტრირებულ სუბიექტს.

აქამდე ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისის შეზღუდული საარჩევნო სამეთვალყურეო მისიის მონიტორინგის ქვეშ მყოფი სატელევიზიო არხები ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს, რომლებიც უფასო საეთერო დროის თანაბრად გაანაწილებასა და სატელევიზიო დებატების ორგანიზებასთან არის დაკავშირებული. რეგიონალურ დონეზე ადგილობრივმა სატელევიზიო არხებმა გამოხატეს თავიანთი განზრახვა არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად სატელევიზიო დებატების ორგანიზების შესახებ¹³. თუმცა, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ უარი განაცხადა აღნიშნულ დებატებში მონაწილეობაზე.

¹³ ადგილობრივი ტელევიზიები სამცხე-ჯავახეთში, იმერეთსა და აჭარაში

ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისის შეზღუდული საარჩევნო სამეთვალყურეო მისიის მედია მონიტორინგის წინასწარი მონაცემების მიხედვით.¹⁴ საარჩევნო კამპანია ნაკლებად შესამჩნევია და არჩევნებთან დაკავშირებული მოვლენების მეტად სუსტი ასახვა ხდება. ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ქმედებებთან და მათ მიერ მიღწეულ წარმატებებთან დაკავშირებული რიგი საარჩევნო რეკლამებისა (კლიპი „თბილისური ამბები“) გადაცემა როგორც ეროვნულ ასევე ადგილობრივ დონეზე.

კერძო სატელევიზიო კომპანიამ რუსთავი 2-მა თავისი პრიმე ტიმე-ის ახალი ამბების პოლიტიკური ინფორმაციის 36% მთავრობას, ხოლო 30% პრეზიდენტს დაუთმო. სხვა სატელევიზიო არხებთან შედარებით საზოგადოებრმა ტელევიზიამ სამაუწყებლო დროის უდიდესი ნაწილი პოლიტიკურ ახალ ამბებს დაუთმო და რუსთავი 2-ის მსგავსად გადაანაწილა დრო ზემოაღნიშნულ სუბიექტებს შორის. ორივე სატელევიზიო არხის მიერ ხელისუფლებაზე გაშუქებული ინფორმაცია ან ნეიტრალური იყო ან პოზიტიური. გაზეთებმა მკითხველებს შედარებით კრიტიკული მიდგომა შესთავაზეს, თუმცა ისინი მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის მკითხველს აწვდიან ინფორმაციას დაბალი გავრცელების გამო.

VI. შიდა და მიუკერძოებელი მეთვალყურეობა

რვა არასამთავრობო ორგანიზაცია: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (Iშ), ახალი თაობა ახალი ინიციატივისა (ნ 6I) და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ჩათვლით დარეგისტრირდა არჩევნებზე მეთვალყურეობის განსახორციელებლად. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ უკვე დაიწყო გრძელვადიანი სადამკვირვებლო პროგრამა. ეს ორგანიზაცია არჩევნების დღეს საქართველოს მასშტაბით 3000 დამკვირვებლის გაგზავნას და თბილისში, რუსთავში, ბათუმსა და ქუთაისში ხმების პარალელურ დათვლას გეგმავს. თავის მხრივ ახალი თაობა ახალი ინიციატივაც (ნ 6I) 2500 დამკვირვებლის გაგზავნასა და ზემოთ ჩამოთვლილ ქალაქებში ხმების პარალელური დათვლის განხორციელებას გეგმავს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების მსგავსად. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ძირითადად იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებულ სხვადასხვა პროგრამებს ახორციელებს. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო კი მონიტორინგს გაუწევს საარჩევნო კამპანიის დროს ადმინისტრაციული რესურსების უკანონოდ ხარჯვას.

¹⁴ 13 სექტემბერს ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისის შეზღუდულმა საარჩევნო სამეთვალყურეო მისიამ დაიწყო მედია მონიტორინგი, რომელიც ქვემოთ მოცემული მედია საშუალებების მიერ არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების ანალიზს ახდენდა: პირველი არხი (საზოგადოებრივი მაუწყებელი), იმედი, რუსთავი 2, 202, აჭარის ტელევიზია (სატელევიზიო არხები); ახალი თაობა, ახალი ვერსია, ალია, რეზონანსი, საქართველოს რესპუბლიკა, 24 საათი (ყოველდღიური გამოცემები), ასავალ დასავალი, ეორგიან თიმეს, კვირის პალიტრა (ყოველკვირეული გამოცემები).

VII. ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისის შეზღუდული საარჩევნო სამეთვალყურეო მისიის საქმიანობა

ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისის შეზღუდულმა საარჩევნო სამეთვალყურეო მისიამ არჩევნების სადამკვირვებლო საქმიანობა დაიწყო 2006 წლის 8 სექტემბერს. 9 წევრიან ძირითად ჯგუფს მოგვიანებით შეუერთდა 19 გრძელვადიანი დამკვირვებელი, რომელთაც მიაწოდეს საჭირო ინფორმაცია და საქართველოს მასშტაბით 9 სხვადასხვა ადგილას გაგზავნეს თბილისის ჩათვლით. ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისის შეზღუდული საარჩევნო სამეთვალყურეო მისია 19 მონაწილე ქვეყნის 28 დამკვირვებლისაგან შედგება და მას ელჩი გერტ არენსი ხელმძღვანელობს.

ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისის შეზღუდული საარჩევნო სამეთვალყურეო მისიის ხელმძღვანელმა და წევრებმა კავშირები დაამყარეს საარჩევნო კომისიების, პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების, მედიის წარმომადგენლებთან, სახელმწიფო მოხელეებთან და არჩევნებში მონაწილე კანდიდატებთან. გრძელვადიანი დამკვირვებლები შეხვდნენ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების უმრავლესობას და ადგილობრივ დონეზე დაამყარეს ანალოგიური კავშირები. 15 სექტემბერს მისიის ელჩმა პრეზიდენტ სააკაშვილთან ერთად დეტალურად განიხილა არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები. დიპლომატიური მისიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის შესაბამისი ბრიფინგები გაიმართა 2006 წლის 11 და 27 სექტემბერს.